

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №98

2019 წლის 26 ივნისი

ქ. ხონი

„ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №82 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის „დ“ პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-80 მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტით იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები (გრანტები) 168,270 ათასი ლარით საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ივნისის №1371 განკარგულებით „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე. განკარგულებით დამატებით გამოყოფილი თანხა მოხმარდება ხონის მუნიციპალიტეტში ამბულატორიების კეთილმოწყობას და ახლის აშენებას. შესაბამისად გაიზარდა გადასახდელები 168,270 ათასი ლარით (ორგანიზაციული კოდი 06 04 01) ამბულატორიული შენობების მშენებლობა და რეაბილიტაცია. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ივნისის №1283 განკარგულებით, დაზუსტდა განსახორციელებელი ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხა სახელშეკრულებო თანხებზე. რამაც გამოიწვია საბიუჯეტო შემოსავლების (გრანტები) და გადასახდელების (ორგანიზაციული კოდი 03 01 01) თანხის შემცირება 198,111 ათასი ლარით. ნაშთის ცვლილებით (კლება) გადასახდელები გაიზარდა: 40,0 ათასი ლარით ორგანიზაციული კოდი 03 01 01 „გზებისა და ტროტუარების, გაზონების მშენებლობის ხარჯები და პროექტების სამუშაოები“ გამოყოფილი თანხა მოხმარდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების საინჟინრო მონიტორინგსა და სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების მიმდინარე გადასახდელებს. 40,0 ათასი ლარი დაიხარჯება საქართველოს რეგიონებისთვის განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესასყიდად. ორგანიზაციული კოდი 03 05. 35,0 ათასი ლარი დაიხარჯება 2019 წლის 28 ივნისს ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ გორდში ა(ა)იპ „არტ-გენის“ მიერ ფესტივალ „არტგენის“ რეგიონალური ტურნეს ორგანიზებაში და სხვა ღონისძიებებისათვის. ორგანიზაციული კოდი 05 05.

მუხლი 2

„ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №82 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, ს/კ: 190020020.35.119.016386, 28/12/2018 წ.) შეტანილ იქნეს ცვლილება დანართის შესაბამისად.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვალერი ზახტაძე

დანართი

თავი I

ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით.



დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9,351.2	2,756.7	6,594.5	11,532.4	4,511.8	7,020.6	11,131.2	4,179.2	6,952.0
გადასახადები	599.5	0.0	599.5	632.9	0.0	632.9	6,674.0	0.0	6,674.0
გრანტები	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,181.5	4,261.4	5,920.1	4,179.2	4,179.2	0.0
სხვა შემოსავლები	760.8	211.6	549.1	718.0	250.5	467.6	278.0	0.0	278.0
ხარჯები	6,112.3	333.4	5,778.9	6,598.3	174.7	6,423.7	7,334.0	490.8	6,843.2
შრომის ანაზღაურება	1,305.7	63.2	1,242.5	1,412.0	63.2	1,348.8	1,528.8	62.0	1,466.8
საქონელი და მომსახურება	693.0	4.9	688.1	731.9	8.2	723.6	1,011.7	139.0	872.7
პროცენტი	0.0	0.0	0.0	48.6	0.0	48.6	46.1	0.0	46.1
სუბსიდიები	3,195.3	86.0	3,109.3	3,493.9	86.3	3,407.6	3,579.6	89.7	3,489.9
გრანტები	0.4	0.0	0.4	0.5	0.0	0.5	2.5	0.0	2.5
სოციალური უზრუნველყოფა	615.9	4.0	611.9	750.8	2.5	748.3	736.2	3.0	733.2
სხვა ხარჯები	302.0	175.4	126.7	160.7	14.5	146.2	429.1	197.1	232.0
საოპერაციო სალდო	3,238.9	2,423.2	815.6	4,934.1	4,337.2	596.9	3,797.2	3,688.4	108.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,739.8	2,172.0	567.9	2,622.9	2,297.5	325.4	6,087.8	5,728.0	359.8
ზრდა	3,001.7	2,172.0	829.8	2,654.4	2,297.5	356.9	6,117.8	5,728.0	389.8
კლება	261.9	0.0	261.9	31.5	0.0	31.5	30.0	0.0	30.0
მთლიანი სალდო	499.1	251.3	247.8	2,311.2	2,039.6	271.5	-2,290.6	-2,039.6	-251.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	480.7	250.4	230.2	2,311.2	2,039.6	271.5	-2,290.6	-2,039.6	-251.0
ზრდა	480.7	250.4	230.2	2,311.2	2,039.6	271.5	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	480.7	250.4	230.2	2,311.2	2,039.6	271.5	0.0		
კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	2,290.6	2,039.6	251.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			0.0			2,290.6	2,039.6	251.0
კლება	18.4	0.9	17.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



საშინაო	18.4	0.9	17.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება							-2290.6	-2039.6	-251.0

მუხლი 2. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება.

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9,613.1	2,756.7	6,856.4	11,563.9	4,511.8	7,052.1	11,203.3	4,221.340	6,982.0
შემოსავლები	9,351.2	2,756.7	6,594.5	11,532.4	4,511.8	7,020.6	11,131.2	4,179.2	6,952.0
არაფინანსური აქტივების კლება	261.9	0.0	261.9	31.5	0.0	31.5	30.0	0.0	30.0
ფინანსური აქტივების კლება							2,210.6	2,039.6	251.0
გადასახდელები	9,132.4	2,506.3	6,626.2	9,252.7	2,472.2	6,780.5	13,371.8	6,218.813	7,153.0
ხარჯები	6,112.3	333.4	5,778.9	6,598.3	174.7	6,423.7	7,334.0	490.8	6,843.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,014.9	2,185.2	829.8	2,654.4	2,297.5	356.9	6,117.8	5,728.0	389.8
ფინანსური აქტივების ზრდა	449.3	237.3	212.0	2,311.2	2,039.6	271.6	0.0	0.0	0.0
ვალდებულების კლება	18.4	0.9	17.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	449.3	237.3	212.0	2311.2	2039.6	271.6	-2210.6	-2039.6	-171.0

მუხლი 3. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 11 161.2 ათასი ლარით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9,613.1	2,756.7	6,856.4	11,563.9	4,511.8	7,052.1	11,161.2	4,179.199	6,982.0



შემოსავლები	9,351.2	2,756.7	6,594.5	11,532.4	4,511.8	7,020.6	11,131.2	4,179.2	6,952.0
არაფინანსური აქტივების კლება	261.9	0.0	261.9	31.5	0.0	31.5	30.0	0.0	30.0
შემოსავლები	9,351.2	2,756.7	6,594.5	11,532.4	4,511.8	7,020.6	11,131.2	4,179.2	6,952.0
გადასახადები	599.5	0.0	599.5	632.9	0.0	632.9	6,674.0	0.0	6,674.0
დღგ	0.0			0.0			6,524.0		6,524.0
ქონების გადასახადი	117.7	0.0	117.7	192.8	0.0	192.8	150.0	0.0	150.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	117.7		117.7	192.8		192.8	150.0		150.0
საშემოსავლო გადასახადი	481.8		481.8	440.1		440.1	0.0		
გრანტები	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,181.5	4,261.4	5,920.1	4,179.2	4,179.2	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,181.5	4,261.4	5,920.1	4,179.2	4,179.2	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5,605.9	160.0	5,445.9	6,080.1	160.0	5,920.1	1,052.4	1,052.4	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,445.9		5,445.9	5,920.1		5,920.1	0.0		0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160.0	160.0		160.0	160.0		160.0	160.0	0.0
დელეგირებული ტრანსფერი საგანმანათლებლო ლონისპიბეებისათვის	0.0			0.0			542.1	542.1	
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ლონისპიბეების დასაფინანსებლად	0.0			0.0			350.3	350.3	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,385.0	2,385.0	0.0	4,101.4	4,101.4	0.0	3,126.8	3,126.8	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან	2,205.0	2,205.0		3,988.6	3,988.6		2,626.8	2,626.8	



გამოყოფილი თანხები									
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0		0.0	0.0		470.0	470.0	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	180.0	180.0		112.8	112.8		30.0	30.0	
სხვა შემოსავლები	760.8	211.6	549.1	718.0	250.5	467.6	278.0	0.0	278.0
შემოსავლები საკუთრებიდან	80.8	0.0	80.8	91.3	0.0	91.3	95.0	0.0	95.0
პროცენტები	30.4		30.4	33.2		33.2	35.0		35.0
რენტა	50.3	0.0	50.3	58.1	0.0	58.1	60.0	0.0	60.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	111.9	0.0	111.9	81.0	0.0	81.0	93.0	0.0	93.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	96.4	0.0	96.4	43.2	0.0	43.2	33.0	0.0	33.0
სანებართვო მოსაკრებელი	65.8		65.8	10.6		10.6	1.0		1.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	30.6		30.6	32.7		32.7	32.0		32.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	15.5	0.0	15.5	37.8	0.0	37.8	60.0	0.0	60.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან.(იჯარა)	15.5		15.5	37.8		37.8	60.0		60.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	54.5		54.5	53.0		53.0	80.0		80.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	239.3		239.3	12.0		12.0	10.0		10.0
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	274.3	211.6	62.7	480.7	250.5	230.2	0.000		
არაფინანსური აქტივების კლება	261.9	0.0	261.9	31.5	0.0	31.5	30.0	0.0	30.0
ძირითადი აქტივები	212.9		212.9	31.5		31.5	30.0		30.0



მუხლი 4. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები 6674,0 ათასი ლარით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	599.5	0.0	599.5	632.9	0.0	632.9	6,674.0	0.0	6,674.0
დღგ	0.0			0.0			6,524.0		6,524.0
ქონების გადასახადი	117.7	0.0	117.7	192.8	0.0	192.8	150.0	0.0	150.0
საშემოსავლო გადასახადი	481.8		481.8	440.1		440.1	0.0		

მუხლი 5. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები 4,179.2 ათასი ლარით

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,181.5	4,261.4	5,920.1	4,179.2	4,179.2	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,990.9	2,545.0	5,445.9	10,181.5	4,261.4	5,920.1	4,179.2	4,179.2	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5,605.9	160.0	5,445.9	6,080.1	160.0	5,920.1	1,052.4	1,052.4	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,445.9		5,445.9	5,920.1		5,920.1	0.0		0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160.0	160.0		160.0	160.0		160.0	160.0	0.0
დელეგირებული ტრანსფერი საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის	0.0			0.0			542.1	542.1	
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.0			0.0			350.3	350.3	
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2,385.0	2,385.0	0.0	4,101.4	4,101.4	0.0	3,126.8	3,126.8	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	2,205.0	2,205.0		3,988.6	3,988.6		2,626.8	2,626.8	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0		0.0	0.0		470.0	470.0	



სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	180.0	180.0		112.8	112.8		30.0	30.0	
---	-------	-------	--	-------	-------	--	------	------	--

მუხლი 6. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 278.0 ათასი ლარით

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	760.8	211.6	549.1	718.0	250.5	467.6	278.0	0.0	278.0
შემოსავლები საკუთრებიდან	80.8	0.0	80.8	91.3	0.0	91.3	95.0	0.0	95.0
პროცენტები	30.4		30.4	33.2		33.2	35.0		35.0
რენტა	50.3	0.0	50.3	58.1	0.0	58.1	60.0	0.0	60.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	44.7		44.7	48.7		48.7	50.0		50.0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	5.6		5.6	9.4		9.4	10.0		10.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	111.9	0.0	111.9	81.0	0.0	81.0	93.0	0.0	93.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	96.4	0.0	96.4	43.2	0.0	43.2	33.0	0.0	33.0
სანებართვო მოსაკრებელი	65.8		65.8	10.6		10.6	1.0		1.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	30.6		30.6	32.7		32.7	32.0		32.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	15.5	0.0	15.5	37.8	0.0	37.8	60.0	0.0	60.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (იჯარა)	15.5		15.5	37.8		37.8	60.0		60.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	54.5		54.5	53.0		53.0	80.0		80.0



შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	239.3		239.3	12.0		12.0	10.0		10.0
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	274.3	211.6	62.7	480.7	250.5	230.2	0.000		

მუხლი 7. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები
განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები 13 451.8ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ხონის მუნიციპალიტეტი	2017 წლის ფაქტი			2018 ფაქტი წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხონის მუნიციპალიტეტი	9,132.4	2,506.3	6,626.2	9,252.7	2,472.2	6,780.5	13,451.8	6,218.813	7,233.0
მომუშავეთა რიცხოვნობა	800.0	0.0	800.0	791.0	0.0	791.0	790.0	0.0	790.0
ხარჯები	6,112.3	333.4	5,778.9	6,598.3	174.7	6,423.7	7,334.0	490.8	6,843.2
შრომის ანაზღაურება	1,305.7	63.2	1,242.5	1,412.0	63.2	1,348.8	1,528.8	62.0	1,466.8
საქონელი და მომსახურება	693.0	4.9	688.1	731.9	8.2	723.6	1,011.7	139.0	872.7
პროცენტი	0.0	0.0	0.0	48.6	0.0	48.6	46.1	0.0	46.1
სუბსიდიები	3,195.3	86.0	3,109.3	3,493.9	86.3	3,407.6	3,579.6	89.7	3,489.9
გრანტები	0.4	0.0	0.4	0.5	0.0	0.5	2.5	0.0	2.5
სოციალური უზრუნველყოფა	615.9	4.0	611.9	750.8	2.5	748.3	736.2	3.0	733.2
სხვა ხარჯები	302.0	175.4	126.7	160.7	14.5	146.2	429.1	197.1	232.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3,001.7	2,172.0	829.8	2,654.4	2,297.5	356.9	6,117.8	5,728.0	389.8

მუხლი 8. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება თანდართული რედაქციით:

	2017 წლის ფაქტი	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა



დასახელება	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	261.9	0.0	261.9	31.5	0.0	31.5	30.0	0.0	30.0
ძირითადი აქტივები	212.9		212.9	31.5		31.5	30.0		30.0
არაწარმოებული აქტივები	49.0	0.0	49.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 9. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია:

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ფაქტი			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,796.4	0.0	1,796.4	1,968.8	0.0	1,968.8	2,218.3	0.0	2,218.3
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,796.4	0.0	1,796.4	1,920.3	0.0	1,920.3	2,172.2	0.0	2,172.2
აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,782.3	0.0	1,782.3	1,920.3	0.0	1,920.3	2,172.2	0.0	2,172.2
ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	14.1	0.0	14.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	48.6	0.0	48.6	46.1	0.0	46.1
თავდაცვა	70.2	68.1	2.1	83.3	71.4	11.9	88.0	67.0	21.0
ეკონომიკური საქმიანობა	2,559.7	2,049.7	509.9	2,038.8	1,870.1	168.7	5,179.4	4,902.4	277.0
სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	66.1	63.7	2.4	105.9	75.9	30.0	57.9	15.9	42.0
სოფლის მეურნეობა	66.1	63.7	2.4	105.9	75.9	30.0	57.9	15.9	42.0
ტრანსპორტი	2,418.1	1,930.3	487.8	1,932.9	1,794.2	138.7	4,541.7	4,406.7	135.0
საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,418.1	1,930.3	487.8	1,932.9	1,794.2	138.7	4,541.7	4,406.7	135.0



სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	75.6	55.8	19.7	0.0	0.0	0.0	579.8	479.8	100.0
გარემოს დაცვა	511.9	0.0	511.9	566.5	0.0	566.5	580.0	0.0	580.0
ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	511.9	0.0	511.9	566.5	0.0	566.5	580.0	0.0	580.0
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	928.6	297.6	631.1	961.0	441.2	519.7	720.7	260.7	460.0
ბინათმშენებლობა	514.4	297.6	216.8	519.4	441.2	78.2	300.7	260.7	40.0
გარე განათება	191.1	0.0	191.1	210.5	0.0	210.5	210.0	0.0	210.0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	223.1	0.0	223.1	231.0	0.0	231.0	210.0	0.0	210.0
ჯანმრთელობის დაცვა	86.0	86.0	0.0	87.0	87.0	0.0	441.3	441.3	0.0
ამბულატორიული მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	350.3	350.3	0.0
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	86.0	86.0	0.0	87.0	87.0	0.0	91.0	91.0	0.0
დასვენება, კულტურა და რელიგია	1,110.5	0.0	1,110.5	1,259.3	0.0	1,259.3	1,289.0	2.3	1,286.7
მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	207.6	0.0	207.6	259.1	0.0	259.1	261.0	0.0	261.0
მომსახურება კულტურის სფეროში	632.3	0.0	632.3	679.9	0.0	679.9	675.0	2.3	672.7
ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	51.8	0.0	51.8	45.0	0.0	45.0	53.0	0.0	53.0
რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	218.9	0.0	218.9	275.3	0.0	275.3	300.0	0.0	300.0
განათლება	1,223.0	0.0	1,223.0	1,301.2	0.0	1,301.2	1,932.1	542.1	1,390.0
სკოლამდელი აღზრდა	931.5	0.0	931.5	985.6	0.0	985.6	1,065.0	0.0	1,065.0
ზოგადი განათლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	542.1	542.1	0.0
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	291.4	0.0	291.4	315.6	0.0	315.6	315.6	0.0	325.0
სოციალური დაცვა	827.8	4.0	823.8	986.8	2.5	984.3	1,003.0	3.0	1,000.0
ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0	9.0	0.0	9.0	12.0	0.0	12.0
სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	782.1	0.0	782.1	936.5	0.0	936.5	948.0	0.0	948.0
სხვა									



არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	45.7	4.0	41.7	41.4	2.5	38.9	43.0	3.0	40.0
სულ	9,114.0	2,505.4	6,608.7	9,252.7	2,472.2	6,780.5	13,451.8	6,218.8	7,233.0

მუხლი 10. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
საოპერაციო სალდო	3,238.9	2,423.2	815.6	4,934.1	4,337.2	596.9	3,797.2	3,688.4	108.8

მუხლი 11. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება ლარი.

მუხლი 12. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 50.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 13. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას ფონდი 0,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 68-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 160,0 ათ. ლარი მიმართულ იქნეს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 91.0 ათასი ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 66.0 ათასი ლარი.

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 3.0 ათასი ლარი.



2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - (პროგრამული კოდი 02 00)

ხონის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება შემდეგი ძირითადი პროგრამები:

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევის და წვევამდელთა ტრანსპორტირების ღონისძიებები.

2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხონის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით მათი რესპუბლიკის სამედიცინო-საექსპერტო კომისიაზე და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტში მობილიზებული რეზერვისტების ტრანსპორტირება დისლოკაციის ადგილამდე. 2019 წლის ბიუჯეტით ქვე პროგრამისგანხორციელებისათვის გამოყოფილია 68,0 თასი ლარი დელეგირებული ტრანსპერიდან ხოლო – 12,0 ათასი ლარი;

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა, შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა გზების რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მუნიციპალიტეტის ქუჩების ზოგიერთი ნაწილი საჭიროებს კაპიტალურ რეაბილიტაციას, ასევე, მიმდინარე შეკეთებით სამუშაოებს ითხოვს ბოლო წლების მანძილზე რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი. მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება.

პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების თანადაფინანსება.



მოსალოდნელი შედეგები:

საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა; მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; მუნიციპალიტეტში საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება; გამართული სანიაღვრე სისტემა; ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა; ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება და მნიშვნელოვანი კაპიტალური სამუშაოების განხორციელება.

შეფასების კრიტერიუმები:

გაზრდილი რეაბილიტირებული გზების რაოდენობა; რეაბილიტირებული სანიაღვრე სისტემების რაოდენობა.

5. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, შენობა ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია, კომუნალური სერვის ცენტრის უზრუნველყოფა, სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი შედეგები: განათებული ქუჩები, მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება; მოსახლეობისთვის, ტურისტებისათვის კომფორტული და მიმზიდველი გარემოს შექმნა; მათი კომფორტულად დასვენებისა და გართობისათვის არეალის გაზრდა, ტრანსპორტის გამართული ფუნქციონირება და მნიშვნელოვანი კაპიტალური სამუშაოების განხორციელება, მოწესრიგებული სანიაღვრე არხები, საფეხმავლო ბილიკები, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა; კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, კეთილმოწყობილი შენობა ნაგებობები.

6. დასუფთავების ღონისძიებები ააიპ კომუნალური სერვის-ცენტრი (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ამ ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, მოსახლეობის მაწანწალა ძაღლებისაგან დაცვა და მათი იზოლირება. კომუნალური სერვის ცენტრი ანხორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ექსპლუატაციას, ახდენს დაზიანებული სანათების შეცვლას და მასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევას. კომუნალური სერვის ცენტრი ანხორციელებს ქალაქის გამწვანების სამუშაოების უზრუნველყოფას. შესაბამის პერიოდში დაზიანებული ხეების შეკაფვის სამუშაოებს. ასევე, საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმებას, ნაძვის ხის დადგმას და ქუჩების კეთილმოწყობას. ღონისძიებების დასრულების შემდგომ, მათ დემონტაჟს.

მოსალოდნელი შედეგები:

- ჰიგიენურად და ესთეტიურად მოწესრიგებული ქალაქი;
- თოვლის საფარის გაწმენდის შედეგად ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილება.

7. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, ქუჩებზე არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება. ასევე ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგები:



- მუნიციპალიტეტის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;

- უზრუნველყოფილი უსაფრთხო გადაადგილება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

8. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მწვანე ნარგავების მოვლა. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის ტერიტორიის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგები:

მოსახლეობისათვის ესთეტიკურად კეთილმოწყობილი გარემოს შექნა;

9 ააიპ – სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური (პროგრამული კოდი 03 03 02)

აღნიშნული ქვეპროგრამით ფინანსდება ააიპ სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობას.

10. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

საქართველოს მთავრობის დადგენილებებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები

11. საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 05)

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესების გათვალისწინებით შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

12. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

2019 წელს პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი არის 10,0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში დაგეგმილია მოსახლეობისა და ფერმერთა ცოდნის ამაღლება აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, სოფლის მეურნეობის საკითხებში სპეციალისტების მოწვევა, მუნიციპალიტეტის ფერმერებისათვის და დაინტერესებული პირებისათვის ტრენინგების მოწყობა. ფერმერებისათვის დამხმარე ბუკლეტებისა და ბროშურების გამოშვება. საპროგრანო პერიოდში დაგეგმილია კენკროვან კულტურების სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

სოფლის მეურნეობაში დაინტერესებული პირების გაზრდილი ინფორმირებულობა.

13. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის



გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზება;

14. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01, 04 06)

სკოლამდელი განათლების პროგრამა

(პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა და მიზანი:

საბავშვო ბაღი წარმოადგენს დაწესებულებას სკოლამდელი ასაკის ბავშვების საზოგადოებრივი აღზრდისათვის. საბავშვო ბაღი, როგორც დაწესებულების ტიპი, წარმოადგენს პირველ რგოლს განათლების სისტემაში. მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების 850-ზე მეტი აღსაზრდელისთვის შეიქმნება ყველა პირობა გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, რომელსაც სრულად აფინანსებს მუნიციპალიტეტის მერია.

ქვეპროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება, სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგის მოქნილი სისტემის უზრუნველყოფა და აღმზრდელთა პროფესიული ზრდა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება:

- საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;
- საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

მოსალოდნელი შედეგები:

- ბავშვის ინტერესებსა და უფლებებზე ორიენტირებული ფიზიკური და სოციალური გარემო.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ – ცენტრალური საბავშვო ბაღი. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 ბაღი, სადაც აღსაზრდელთა რაოდენობა არის 850-მდე. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ კვების ხარჯს, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. საბავშვო ბაღებში რეაბილიტაციის ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფის გახსნა, რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება.

15. ააიპ – ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, სადაც მუშაობს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, აქ მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის დაწყებით განათლებას ტექნიკურ მოდელირებაში.

უვითარებს მოსწავლე-ახალგაზრდობას ინტერესს მეცნიერების, ტექნიკის, საწარმოო საქმიანობისა და გამომგონებლობისადმი; უყალიბებს მოზარდებს ტექნიკურ-შემოქმედებით აზროვნებას, ხელს უწყობს მათ შრომით აღზრდას და პროფესიულ ორიენტაციას; ამზადებს მოსწავლეებს ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო კონკურსებში, ოლიმპიადებში, კვირეულებსა და გამოფენებში მონაწილეობისათვის; ატარებს შიდა კონკურსებს, ოლიმპიადებს, კვირეულებსა და გამოფენებს; თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ სკოლისგარეშე დაწესებულებებთან; სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში ამზადებს შესაბამის ასაკის ბავშვებს.

მოსალოდნელი შედეგები:

ზოგადი განათლების გაზრდილი ხელმისაწვდომობა.



16. ა(ა)იპ – ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი (პროგრამული კოდი 04 03)

ა(ა)იპ ინფორმატიკის სასწავლო ცენტრში ხორციელდება, კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის სწავლება.

მოსალოდნელი შედეგები:

ზოგადი განათლების გაზრდილი ხელმისაწვდომობა.

17. ა(ა)იპ – ვეტა ჩხენკელის სახ. ხონის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 04 04)

ა(ა)იპ – მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ფუნქციონირებს სასწავლო და შემოქმედებითი წრეები, კლუბები, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები და სახელოვნებო სტუდიები. სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ორგანიზებას, ბავშვებში და ახალგაზრდებში პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებისა და მათი პრობლემების გადაჭრისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ განვითარებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის თავისუფალი დროის ორგანიზება, ბავშვთა და ახალგაზრდული ტურიზმის განვითარებისათვის ხელშეწყობა; ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა;

ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისათვის ხელშეწყობა, სოციალურად დაუცველი, აგრეთვე სწავლაში და ხელოვნებაში განსაკუთრებით გამორჩეული ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ტრენინგ-სემინარების, კონფერენციების, კონცერტების, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების, ოლიმპიადების, საქველმოქმედო აქციებისა და სხვა ღონისძიებათა მოწყობა;

ბავშვებისა და ახალგაზრდების საერთაშორისო ურთიერთობებისა და თანამშრომლობისათვის.

მოსალოდნელი შედეგები:

ზოგადი განათლების გაზრდილი ხელმისაწვდომობა.

18. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 05)

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხონის მუნიციპალიტეტს გამოეყო 430,4 ათ. ლარი.

19. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს ახალგაზრდული ორგანიზაციების და პროექტების, კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.



20. ა(ა)იპ – სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი, რომელიც ახორციელებს ფეხბურთელთათვის სავარჯიშო და სათამაშო პირობების შექმნას, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პოპულარიზაციას. აღნიშნული ა(ა)იპ-ის ფარგლებში შექმნილია საფეხბურთო გუნდი „იმერეთი“, რომელიც მონაწილეობას იღებს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში.

21. ააიპ – კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 02)
